ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის
N32 ბინაზე, მოქალაქე მარინა ქოქოსაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე მარინა ქოქოსაძის წარმომადგენლის ნინო ჩიტიძის განცხადება /2012 წლის 22.02 Nჩ–1539/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის N32 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მარინა ქოქოსაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარინა ქოქოსაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე /საერთო ფართობი 68,53 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 43,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,53 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,47 კვ.მ./ მოქალაქე მარინა ქოქოსაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                    გ.თევდორაძე